

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №174
2021 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) ბიუჯეტის განმკარგველის – 0982 – სსიპ „კასპის კოლეჯის“ შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის განმკარგველი:

| | | |
|-----|------|--|
| „71 | 0983 | სსიპ – კოლეჯი „თბილისის ხელოვნების კოლეჯი“ |
|-----|------|--|

“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5142 – ა(ა)იპ „ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ შემდეგ დაემატოს ბიუჯეტის განმკარგველი:

| | | |
|-------|------|---|
| „1503 | 5143 | ა(ა)იპ – აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „შავნაბადა“ |
|-------|------|---|

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

